სამედიცინო ლაბორატორიების ხარისხის რეგიონული შედარება საქართველოში

ნია ტეტუნაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდავის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნია ტეტუნაშვილი

06.06.2025

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამედიცინო ლაბორატორიული მომსახურების ხარისხის რეგიონალურ განსხვავებებს საქართველოში. კვლევის მიზანია თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მოქმედი ლაბორატორიების შედარება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად განსხვავდება მომსახურების ხარისხი ტექნიკური აღჭურვილობის, პერსონალის კვალიფიკაციის, პროცესების სტანდარტიზაციისა და პაციენტთა კმაყოფილების ჭრილში. თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ლაბორატორიული დიაგნოსტიკა წარმოადგენს კლინიკური მედიცინის ერთ-ერთ საფუძველს, ხოლო ამ მომსახურების ხარისხი პირდაპირ მოქმედებს პაციენტის ჯანმრთელობის შედეგებზე და ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობაზე.

კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ მიდგომებს. რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 213-მა პაციენტმა (88 თბილისიდან და 125 რეგიონებიდან). კითხვარი მოიცავდა სერვისის სხვადასხვა კომპონენტის შეფასებას. პარალელურად ჩატარდა თვისებრივი კვლევა 3 სეგმენტთან, რათა განზოგადებულიყო მომსახურების რეალური მდგომარეობა სხვადასხვა სერვისის გადმოსახედიდან. მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა რეგიონული განსხვავებები ლაბორატორიული მომსახურების ხარისხში.

კვლევის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი იძლევა სამეცნიერო და პრაქტიკულ მონაცემებს ლაბორატორიული სისტემის გაუმჯობესებისთვის, განსაკუთრებით რეგიონული უთანასწორობის აღმოფხვრის მიმართულებით. ნაშრომის მიგნებები შესაძლოა გამოყენებული იქნეს ჯანდაცვის პოლიტიკის, სტრატეგიული დაგეგმვისა და ლაბორატორიული მენეჯმენტის გაუმჯობესების პროცესებში.

საკვანძო სიტყვები: ლაბორატორიული მომსახურება, რეგიონული უთანასწორობა, ხარისხის შეფასება, ჯანდაცვა.

Abstract

This master's thesis explores regional disparities in the quality of medical laboratory services in Georgia. The aim of the research is to compare laboratories operating in Tbilisi with those in other regions of the country, focusing on differences in service quality in terms of technical infrastructure, staff qualifications, standardization of processes, and patient satisfaction. The relevance of the topic is grounded in the fact that laboratory diagnostics constitute a core component of clinical medicine, and the quality of such services has a direct impact on patient outcomes and the overall efficiency of the healthcare system.

The research methodology combines both quantitative and qualitative approaches. Quantitative data were collected through structured questionnaires, with responses from 213 patients (88 from Tbilisi and 125 from regional areas). The questionnaire evaluated various components of laboratory service. In parallel, qualitative interviews were conducted with three respondent segments to generalize the real condition of laboratory services from different professional perspectives. The analysis of the results revealed notable regional differences in the quality of laboratory services.

The significance of this research lies in its contribution of scientific and practical insights that can support the improvement of the laboratory system, particularly in addressing regional inequalities. The findings of the study may be used to inform healthcare policy, strategic planning, and the advancement of laboratory management practices.

Keywords: laboratory services, regional inequality, quality assessment, healthcare

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოვახსენებ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან გოგინაშვილს, გამოჩენილი პროფესიონალიზმისა და შთამაგონებელი ხელმძღვანელობისთვის. მისი ღირებული რეკომენდაციები, მითითებები და მუდმივი მხარდაჭერა გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო ამ კვლევის წარმატებით განხორციელებისთვის.

განსაკუთრებულად ვაფასებ იმ რესპონდენტთა წვლილს, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩაღრმავებულ ინტერვიუებში და თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და დრო დაუთმეს კვლევის გამდიდრებას. ასევე მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც შეავსო კითხვარი და ხელი შეუწყო მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზის საფუძვლის შექმნას. მათი ჩართულობა და გულწრფელი პასუხები მნიშვნელოვნად დაეხმარა ნაშრომის შინაარსობრივ გაღრმავებასა და სანდოობის ამაღლებას.

აკადემიური სფეროს მიღმა, მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, რომლებიც მთელი კვლევის განმავლობაში მაძლევდნენ მორალურ მხარდაჭერას, მეხმარებოდნენ რესპონდენტებთან დაკავშირებაში, მათი თანადგომა, სტიმული და მორალური მხარდაჭერა განაპირობებდა ჩემს შესაძლებლობას, რომ კვლევითი საქმიანობა სტაბილურად და თავდადებით გამეგრძელებინა.